Фонд 287 Опись 1 Ед. хр. 54

Фонд № 287 1 Ед. хр. № 54

დასკანირებულია
15.01.2025 (7)

„ლიტერატურული გაზეთი"
1962, 25/V №22

ვასილ ბარნოვის გაკვეთილები

აქ ლაპარაკია ჩვეულებრივ სასკოლო გაკვეთილებზე.

ცნობილია, რომ რევოლუციამდელ მწერალთა საგრძნობი ნაწილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ბევრმა თავისი მოღვაწეობით ამ სფეროში წარუშლელი კვალი გაავლო.მათ რიცხვს განეკუთვნება ვასილ ბარნოვიც. იგი ნებდა რა მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ახალსენაკის სასულიერო სასწავლებელში მოწაფეობის ხანას, ცნობილი საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია წიგნში „როგორ ვიზრდებოდით ძველად" წერდა: „ვასილ ბარნოვმა პირველად გვაჩვენა, რომ მასწავლებელი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანია და მოსწავლეთა მეგობარი, უფროსი ძმა, მათი ხელმძღვანელი და გზაზე დამყენებელი... ყველას უთქმელად გვაჩვენებდა წესიერებას და შრომის სიყვარულს გვინერგავდა გულში".

ვ. ბარნოვი მართლაც. შინაგანი მოწოდებით იყო ქართული ლიტერატურის ვირტუოზი მასწავლებელიც და ქართული სიტყვის უბადლო ოსტატიც. ნიშნები ერთისაც და მეორისაც თანაბარი ძალითაა განსახიერებული 1919 წელს გამოქვეყნებულ მის „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების" პირველ წიგნში (ან „რვეულში", როგორც მას ავტორი უწოდებს), რომელიც კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს ამ შესანიშნავი მწერლის სახეს, მისი მხატვრულ-ლოგიკური აზროვნების მაღალ კულტურას. წიგნის მოკლე წინასიტყვაობაში ვ. ბარნოვი წერს: „...ვადგენდი გაკვეთილებს (იგულისხმება გაკვეთილების კონსპექტები — ა. თ.) და ისე ვასწავლიდი; კლასში ვათვალიერებდი ნაკლს და ვაუმჯობესებდი. საჭიროდ მიმაჩნია გამოიცეს პირველი რვეული ამ გაკვეთილებისა. თუ გამოსადეგი აღმოჩნდა, დანარჩენებიც მოჰყვება. მზად არის მთელი მასალა".

აქედან ჩანს, რომ პირველი წიგნის გამოქვეყნების დროისათვის ვ. ბარნოვს მზად ჰქონია „მთელი მასალა" ან „ქართული სიტყვიერების ისტორიის" მთელი კურსი, რომელსაც ის თბილისის სასულიერო სემინარიაში წლების განმავლობაში ასწავლიდა, და მისგან მხოლოდ პირველი ნაკვეთის დაბეჭდვა მოუხერხებია (დანარჩენი ნაკვეთები, ხელნაწერის სახით, უეჭველია, მის მდიდარ არქივში დარჩა).

ხსენებული წიგნი 94 გვერდისაგან შედგება. ის ერთგვარი პროპედევტიკული ნაწილია ქართული ლიტერატურის ისტორიის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შესწავლისათვის, მასში ერთმანეთს ენაცვლება ზოგადთეორიული მსჯელობა სიტყვიერების (ლიტერატურის) საგანზე, მის ორ ნაწილზე, მათ შორის განმასხვავებელ ნიშნებზე, ქართული ზეპირსიტყვიერების ძირითად პერიოდებსა და ქართული მითოლოგიის საფუძველზე (გვ. 5-18), ხალხური შემოქმედების კონკრეტულ ნიმუშებზე (ამირანი, როსტომი, არსენა) და ა. შ.

კონსპექტური გაკვეთილების ეს გარეგნული ფორმა შერწყმული და შეთავსებულია მის ღრმა, შთაგონებისა და იდეურ-ემოციური ზემოქმედების დიდი ძალის მქონე ამაღლებულ შინაარსთან. განმარტავს რა საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებთა ღირებულების განმსაზღვრელ მთავარ ნიშნებს, ვ. ბარნოვი შესავალ ზოგად მიმოხილვით ნაწილში, იძლევა მეთოდოლოგიური და თეორიული თვალსაზრისით მათ სწორ ინტერპრეტაციას.

„ადამიანის გონება, — წერს ვ. ბარნოვი, —დაუცხრომლად მიილტვის ჭეშმარიტებისადმი; საბოლოო მიზანი გონების მისწრაფებისა არის ჭეშმარიტება სრული, სიმართლე ღვთაებრივი, სინამდვილე ნათელი და სამარადისო. რამდენადაც ნაწარმოები უახლოვდება ამ დაუჩრდილავ ნათელს ჭეშმარიტებას, იმდენად ის სრულია, გარდუვალი და პატივსაცემი. ადამიანის ნებისყოფა დაუცხრომლად მიილტვის კეთილისადმი; საბოლოო მიზანი ნებისყოფის მისწრაფებისა არის სიკეთე გარდუვალი, სრული და გარშემოუწერელი; რამდენადაც ნაწარმოები უახლოვდება ამ კეთილს, ბოროტისაგან განწმენდილს და ნაფელქმნილს, იმდენად ის სრულია, გარდუვალი და პატივსადებია. ადამიანის გული ეტრფის სიმშვენიერეს, საბოლოო მიზანი ადამიანის გულისთქმისა არის მშვენება გარდუვალი, სიდუხჭირისაგან მთლათ დახსნილი და შეუზღუდავი".

მაშასადამე, ყველა ამ ნიშანთვისებიდან გამომდინარე, „სიტყვიერება ეწოდება ისეთ ნაწარმოებთ, — აყალიბებს თავის დასკვნას ვ. ბარნოვი, — რომელთაც ცხადად ატყვია ხატება გარდუვალის ჭეშმარიტებისა, შეურყეველის კეთილისა და დაუჩრდილავის სიმშვენიერისა — ამ სამი ძირითადი იდეალისა, რომელნიც შეუდრეკლად ისწრაფვიან განხორციელდნენ ადამიანთა არსებაში და რომელნიც აწარმოებენ კაცობრიობის განვითარებას და შეუფერხებელ წინსვლას" (იხ. დასახელებული წიგნი, გვ. 8).

კითხულობთ ბარნოვის ამ შრომას და წარმოსახვაში უნებლიედ ცოცხლად გეხატებათ პედაგოგ-მწერლის შემოქმედებითი ცეცხლით აღგზნებული ქართული ლიტერატურის გაკვეთილები პოეზიაზე, ხელოვნებაზე, რომლებიც თვით წარმოადგენდნენ თავისებურ პოეზიას, ამაღლებულ და თითქოს სულჩადგმულ ხელოვნებით ძეგლს. განა შეიძლება ვ. ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულყოფილად შეფასება მისი ლიტერატურულ-თეორიული ხასიათის ჩანაწერების, საზოგადოებრივ ესთეტიკური შეხედულებების შესწავლისა და გაცნობის გარეშე?

ვფიქრობთ, ვ. ბარნოვის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში შეტანილი უნდა იქნას მისი 1919 წელს გამოცემული „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილების" პირველი რვეული, რომელიც დღესაც იმსახურებს მკითხველის დიდ ინტერესსა და ყურადღებას. სხვა არა იყოს რა, ამ „რვეულს" ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მწერლის სტილის, ენის შესწავლისათვის. ვ. ბარნოვის ესთეტიკური იდეალი, მისი კრიტიკული ალღო და თეორიული მოსაზრებანი დასახელებულ წიგნში გამოხატულია არაჩვეულებრივი სიცხადით, მდიდარი, დახვეწილი ენითა და ლაპიდარული თხრობის იშვიათი ოსტატობით.

აკაკი თოფურია

იუმორის კუთხე

დილის გამამხნევებელი ვარჯიში.

ნახატი ჰანს ვილესი („ოილენშპიგელი“).

მერყევი ელემენტი

იაროსლავ დიტლი

ჩეხოსლოვაკია

სტანისლავ კორჟინეკს ღრმად სწამდა, რომ ქალი, საერთოდ, მერყევი ელემენტია და მასთან დამოკიდებულების დროს ყველა მუდამ სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს. ამასთან სტანისლავი ფიქრობდა, რომ მისთვის, როგორც პასუხისმგებელი მუშაკისათვის, შესაფერისი იქნება: ა) ან სულ არ შეირთოს ცოლი ან ბ) ითხოვოს ისეთი ქალიშვილი, რომელიც იდეურად სავსებით გამოწრთობილი იქნება.

ამიტომ იყო, რომ თუ რომელიმე ქალიშვილი გაბედავდა და გაუღიმებდა სტანისლავს, ის მაშინვე შეეკითხებოდა ხოლმე: შეგიძლიათ თუ არა ჩამომითვალოთ იმპერიალიზმის ხუთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, რა შეგიძლიათ თქვათ ჩინეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაზე და რა განსხვავებაა ზედმეტ ღირებულებასა და საჭონლის ჭარბ წარმოებას შორის. და წარმოიდგინეთ, აქამდე ვერ იქნა და ვერ მონახა სტანისლავმა ისეთი ქალიშვილი, რომელიც სწორ პასუხს გასცემდა ამ კითხვებზე.

ამიტომ იყო, რომ კორჟინეკი სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, ქალი, ძირითადად მერყევი ელემენტია, ხოლო სიყვარული, უმრავლეს შემთხვევაში, წარმოადგენს შეუფერებელ პოლიტიკურ შეცდომას.

და აი, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, როცა სტანისლავი ტრამვაის ვაგონში იჯდა, მოხდა საშინელი ამბავი.

ტრამვაიში ის გაზეთს კითხულობდა, უცებ ასწია თავი და კინაღამ ხუნთქვა შეუგუბდა. მის წინ იჯდა მერყევი ელემენტი ოქროსფერი კულულებით და ჩაფიქრებული, ლამაზი თვალებით.

სტანისლავს უცებ მოავიწყდა თავისი აღრინდელი შეხედულებანი, უფრო მეტი — აღარ გაახსენდა არცერთი ზუნჭტი დადგენილებისა, რომელიც დღეს კრებაზე უნდა მიეღოთ და რომლის შედგენაზე ამდენი იწვალა.

ტრამვაი დაიძრა და სტანისლავმა ახლა თვითონ გამოიჩინა მერყეობა. ის წაბარბაცდა, ოდნავ დაეჯახა ქალიშვილს და ამასაც ბილეთის ასაღებად გამზადებული ხურდა ფული იატაკზე დაუცვივდა.

სტანისლავი იმავე წამს დაეცა მუხლებზე და გაფანტული ფულის შეგროვება დაიწყო. მადლობის ნიშნად ქალიშვილმა მომხიბვლელად გაუღიმა. და თუმცა ამ ქალიშვილს გულზე არ ეკეთა არცერთი ნიშანი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ის წევრია რომელიმე მასობრივი ორგანიზაციისა, მაინც სტანისლავმა მას თვალი ვეღარ მოსწყვიტა.

ქალიშვილი შეეკითხა მას:

— თქვენ არ იცით რომელ გაჩერებაზე უნდა ჩამოვიდე, რომ ვიჭრობის განიერნობდა წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლის გვერდით. მართალია, გულზე ცოტათი მოეშვა, როცა ქალიშვილმა უთხრა — მამაჩემმა გადასწყვიტა კოოპერატივში ჩაეწეროს და მე ახლა რომელიმე სხვა მაღაზიაში მინდა ვიშოვო ადგილიო.

სტანისლავი საშინლად აფორიაქებული იყო და დიდ სულიერ ტანჯვას განიცდიდა. გონება ჰკარნახობდა მას: „გამოიჩინე გაბედულება, უთხარი ჩამოგითვალოს იმპერიალიზმის ხუთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი“, მაგრამ გული ამის ნებას არ აძლევდა — „არ შეეკითხო, თორემ რომ ვერ გიპასუხოს, ხომ დაიღუპა ყველაფერი“.

კაცი თავის გონზე აღარ იყო. ლაჟა-რაობდა მინაზებული ხმით, რომელსაც ვერაფრით ვერ იცნობდნენ ისინი, ვისაც მისი მოხსენება მოუსმენია, და აი, ამ ხმით, მან პაემანიც კი დაუნიშნა ამ მერყევ ელემენტს.

იმ დღეს, როცა პაემანზე უნდა წასულიყო, სტანისლავი ეკითხებოდა თავის თავს:

„მაქვს თუ არა უფლება მე, ახალგაზრდა პასუხისმგებელ ამხანაგს, დავკარგო დრო და პაემანზე წავიდე ისეთ ქალიშვილთან, რომელსაც მკერდზე არცერთი ნიშანი არ უკიდია და წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, თუ რა არის მონათმფლობელური წყობილება? და მას თუმცა მშვენიერი თაფლისფერი თვალები აქვს, მაგრამ ალბათ არავითარი ვალდებულება არ აუღია შეკრიბების ხელშეკრულების გაფორმების დროს. თუმცა იმ ქალიშვილს ხავერდივით კანი აქვს, მაგრამ იხდის თუ არა წესიერად და დაუგვიანებლად საწევრო ანარიცხებს? ვაი, თუ არ იხდის?“.

ასეთი ფიქრები სტანჯავდნენ სტანისლავს და, ბოლოს, მან გადაწყვიტა პაემანზე არ წასულიყო და ამის ნაცვლად მოემზადებინა მოხსენება თემაზე „ვიყოთ მუდამ მასებთან ერთად“.

ჩაუჯდა კიდეც მოხსენებას, დასცქეროდა ჭაღალდს და ფიქრში ელანდებოდა პარკი, სკამი იმ პარკში, რომელზედაც ქალიშვილი ზის და მას უცდის. მთელი საათი იჯდა და ერთი ფრაზის მეტი ვერ დაწერა. აი, ეს ფრაზაც:

„ამხანაგებო! დღევანდელ ჩვენს კრებაზე მე მინდა აღვნიშნო, რომ მისი ღიმილი მომხიბვლელია და თვალებიც ულამაზესი აქვს“.

ამის მეტი ვერაფერი დაწერა, ვერ შესძლო. ის იყო დედამისიც შევიდა ოთახში, წაიკითხა ეს უაზრო ფრაზა და მოისმინა შვილის აღსარება იმაზე, თუ რაოდენ საშინელი უფსკრულია ქალიშვილის ლამაზ თვალებსა და იმპერიალიზმის ხუთ დამახასიათებელ ნიშანს შორის. და მაშინ [illegible] წაიკითხა მას, ასე დაახლოებით, ბატა-

ფხაი (1) ფურცელი

02.11.93 ეკონომიკა